განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
19-20 ნოემბერი, 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი
16.12.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218076542
დაწესებულების სახე	ასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული სალიტერატურო ენა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი 100518
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხვთისო მამისიმედიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ჩოკორაია, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიკო შარაბიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა 2007 წელს ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია-გაერთიანების გზით, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 22 აგვისტოს N176 დადგენილებით. ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამა შეიქმნა სწორედ 2007 წელს.

ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო აკრედიტაცია განხორციელდა 2014 წელს (აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N 257 გადაწყვეტილება).

ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ფორმაა-დასწრებული სწავლება. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 120 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 სასწავლო კვირას. სტუდენტის წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი). საგანმანათლებლო პროგრამის 120 ECTS კრედიტიდან: 105 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებია; 15 კრედიტის მოცულობით სასწავლო კურსები სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული სპეციალობის არჩევითი კურსებიდან. მაგისტრატურის პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა მოამზადოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ცენტრის დირექტორის ბრძანების #1043 (31. 10. 2019) თანახმად, 2019 წლის 19 და 20 ნოემბერს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, ხვთისო მამისიმედიშვილი, თათია ჩოკორაია, სოფიკო შარაბიძე.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა,

ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სამუშო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სასწავლო პროცესს, შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან. შემდეგ შედგა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ვინაიდან პროგრამა აკრედიტებულია, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და პოტენციურ დამსაქმებლებს.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა აუდიტორიები, სამუშაო ოთახები, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვ.

შეხვედრის განმავლობაში განხილულ იქნა პროგრამა, მისი სტრუქტურა, შესაბამისი დოკუმენტაცია, ცალკეული სილაბუსები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  - პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - მნიშვნელოვანია, ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში შევიდეს ცვლილება და სასწავლო საგნებს დაემატოს ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობების კურსი. გორის სასწავლო უნივერსიტეტს აქვს აღნიშნული სასწავლო კურსების განხორციელების ფართო და უნიკალური რესურსი, როგორც ადამიანური, ისე ინტელექტუალური და მატერიალური თვალსაზრისით.
  - ქართველური ენების: ქართული, მეგრული/ზანური, სვანური სრულყოფილად სწავლების, ასევე, ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრატურის დასრულების შემდეგ ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი

კვალიფიკაციისათვის მიზანშეწონილია სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს სვანური ენა.

- საგანში: აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები, მიზანშეწონილია სავალდებულო ლიტერატურაში დაემატოს ქართული დიალექტური კორპუსი http://www.corpora.co/#/ დიდი ქართული დიალქტური ბაზა და ქართული დიალექტების ელექტრონული ატლასი, სადაც განთავსებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების ტექსტები შესაბამისი აკადემიური ფორმებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- საგანში: ენა და მწერალი, სასურველია, თემატიკას დაემატოს პოეტური ლექსიკის საკითხები, როგორებიცაა: სინონიმები, ანტონიმები, არქაიზმები, ისტორიზმები, ევფემიზმები, დისფემიზმები, პოეტური ტავტოლოგია, ნასესხები სიტყვები, ნეოლოგიზმები, ბარბარიზმები, ომონიმები, პარონიმები, ტავტოლოგია, პლეონაზმი, ინტერნაციონალიზმები, პოლისემია და მათი ასახვა მწერლის ენაში.

- ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლის გათვალისწინებით, სასურველია, სალექციო შეხვედრები დღის მეორე ნახევარსა და საღამოს საათებში ჩატარდეს. ასევე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აზრით, არჩევითი კურსების გამრავალფეროვნებაც დადებითად წაადგებოდა პროგრამასა და თავად სტუდენტებს.
- საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის ყოველწლიური განახლება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში.
- ელექტონული სერვისების გაუმჯობესება.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კიდევ უფრო გაუმჯობესება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
  - 2014-2018 წლებში განხორციელებული ცვლილებები: აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სავალდებულო საგნების კრედიტმოცულობის შემცირების ხარჯზე 10 კრედიტიანი არჩევითი ბლოკი გაიზარდა 5 კრედიტით (15 კრედიტამდე). კერძოდ, ,,ენა და მწერალი" გადავიდა არჩევით ბლოკში და დაუწყვილდა სასწავლო კურსი ,,ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიკის საკითხები";
- სპეციალობაში მისაღებ ზეპირ გამოცდას დაემატა წერითი კომპონენტი;
- სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების კომპონენტში რეფერატი ცალკე აქტივობად გაფორმდა და გაიწერა მისი პარამეტრები (სავალდებულო მოცულობა, შრიფტი, ინტერვალი, ციტირების წესი და ა. შ.).
- განხორციელდა ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის შეფასების სისტემასა და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებში „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში შეტანილი იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც ძალაში შევიდა 2016 წლის პირველი სექტემბრიდან. პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები მოყვანილ იქნა შესაბამისობაში ზემოაღნიშნულ ცვლილებებთან.
- პროგრამის განხორციელების შიდა საუნივერსიტეტო შეფასების რეკომენდაციის შესაბამისად განხორციელდა პროგრამის განვითარების პროცესში დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობის გააქტიურება და გაძლიერება. კურსდამთავრებულთა მოსაზრებების გათვალისწინებით, პროგრამის რიგ სასწავლო კურსის სილაბუსში ყოველკვირეულ წერით გამოკითვას (ქვიზსს) დაემატა ზეპირი გამოკითხვა.
- 2019 წელს განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:
- შრომის ბაზრის მოთხოვნათა ანალიზისა და დამსაქმებელთა მოსაზრებების გათვალისწინებით სავალდებულო სასწავლო კურსებს ,,აკადემიური წერის" ნაცვლად დაემატა ,,კვლევის თანამედროვე მეთოდები და დიზაინი".
- პროგრამის განხორციელების შიდა საუნივერსიტეტო შეფასების რეკომენდაციის შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა გამსხვილებული სახით.
- საგანმანათლებლო პროგრამის ყველა დარგობრივ საკვანძო სასწავლო კურსის სილაბუსში, პრაქტიკული და ზოგად-ტრანსფერული უნარების გამომუშავებაზე ორიენტაციის გაძლიერების მიზნით, განისაზღვრა საკურსო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის კომპონენტი.
- სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა განახლდა უახლესი ლიტერატურით და სამეცნიერო კვლევებით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიას. აქვს ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი მიზნები, რომელიც ასახავს, თუ რა ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა. კერძოდ, პროგრამის მიზანია, მოამზადოს ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც შეძენილი ღრმა და სისტემური ცოდნით, გამომუშავებული უნარებით და განვითარებული მოქალაქეობრივი ღირებულებებით წარმატებით შეძლებს დასაქმებას ან სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - დოქტორანტურაში. ○ პროგრამა ორიენტირებულია, მისცეს სტუდენტს კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა ქართველურ ენათმეცნიერებაში უახლესი ლინგვისტური თეორიებისა და მეთოდების, ქართული სალიტერატურო ენისა და ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის, დიალექტოლოგიასთან ურთიერთმიმართებისა და ლექსიკის შესახებ, გამოუმუშაოს კვლევისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარ-ჩვევები. ○ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. მაღალი სამოქალაქო ღირებულებებით აღჭურვილ, დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიან კურსდამთავრებულს შესწევს უნარი თავისი წვლილი შეიტანოს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პერსონალისა და სტუდენტების მიერ, იგი საჯაროა და ხელმისაწვდომი - განთავსებულია სასწავლო

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, ბიბლიოთეკაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია ○ ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამა ○ ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- გორის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა, გამოიმუშავოს უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება.
- ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, ქართველური ენათმეცნიერების ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას; უახლესი ლინგვისტური თეორიების, მეთოდებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის, ქართული ენის ისტორიის, განვითარების ტენდენციების, დიალექტოლოგიასთან ურთიერთმიმართების, ნორმალიზაციის საკითხებისა და ფუნქციური სტილისტიკის სფეროების, ქართველური ენების ფონემატური, მორფოლოგიური, სინტაქსური სტრუქტურისა და ლექსიკის ცოდნის კლასიფიცირება; ქართველური ენათმეცნიერების ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების მოძება; ქართული და სხვა ქართველური ენების ფონემატური, მორფოლოგიური, სინტქსური სტრუქტურისა და ლექსიკის შესახებ კრიტიკული ანალიზი, დასაბუთებული ანალიზი, უახლესი მასალისა და ტრადიციული კვლევების სინთეზი. აღნიშნული სწავლის შედეგები ავტონომიური და შესაბამისია სამაგისტრო საფეხურისათვის, ასევე, ქართველურ ენათმეცნიერებაში მაგისტრის კვალიფიკაციის მისანიჭებლად. სასწავლო კურსებთან დაკავშირებით რეკომენდაციები იხ. 2. 1; 2. 2; 2. 3.
- ქართული სალიტერატურო ენის სწავლის შედეგებში აღსანიშნავია აკადემიური პატიოსნების სტანდარტები, ასევე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო

ტექნოლოგიები გამოყენება ქართველური ენათმეცნიერების საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით. სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება რამდენიმე კრიტერიუმი. მათ შორის, პლაგიატზე შემოწმების პროგრამა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

- ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის - აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით და შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
- პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმებასა და განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს კვალიფიკაციათა აღმწერით უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის - მაგისტრატურის სწავლის შედეგებისადმი გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, მათ შორის, სწავლის შედეგები უზრუნველყოფს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნას ქართველურ ენათმეცნიერებაში, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას და აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებსარის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.
-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისია
- ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამა
- ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომი სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. სათანადო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, პროგრამების კატალოგში, ბუკლეტში, ფაკულტეტზე, კათედრაზე, ბიბლიოთეკაში. პერიოდულად, დაინტერესებული პირებისათვის პროგრამის ხელმძღვანელი ატარებს პრეზენტაციას. ○ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, საერთო სამაგისტრო და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების (ქართული ენა და ინგლისური ენა) შედეგების საფუძველზე ან პირი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე ან მობილობით ჩარიცხვისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებს. ○ უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის შემდეგ ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები, ქართული ენა და ინგლისური ენა, ტარდება ზეპირი და წერითი ფორმით. აღნიშნული ცვლილება განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე. 2019 წლის აკრედიტაციის ექსპერტებმა ადგილზე დაათვალიერეს მაგისტრატურის მისაღები გამოცდების სტუდენტთა წერითი ნამუშევრები. ქართულ ენაში მაგისტრატურაში მიღების დროს გამოცდის წერითი ფორმით ჩატარება დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან ეს ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, ობიექტურობას, მეორე მხრივ, სტუდენტისათვის აპელაციის შემთხვევაში იარსებებს წერილობითი საბუთი, რისი ხელახლა განხილვის შესაძლებლობაც იარსებებს. ○ ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის სამართლიანი, შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, არის საჯარო და ხელმისაწვდომი. განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში.

○
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა ○ ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა 2007 წელს ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია-გაერთიანების გზით, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 22 აგვისტოს N176 დადგენილებით. ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამა შეიქმნა სწორედ 2007 წელს. ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო აკრედიტაცია განხორციელდა 2014 წელს (აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N 257 გადაწყვეტილება).

- ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ფორმაა-დასწრებული სწავლება. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი), ხოლო მოცულობა - 120 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 სასწავლო კვირას. სტუდენტის წლიური დატვირთვა შეადგენს 60 კრედიტს (სემესტრში 30 კრედიტი). საგანმანათლებლო პროგრამის 120 ECTS კრედიტიდან: 105 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებია; 15 კრედიტის მოცულობით სასწავლო კურსები სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული სპეციალობის არჩევითი კურსებიდან. მაგისტრატურის პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა მოამზადოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი. **ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები შეადგენს 120 კრედიტს.**

- სსიპ გორის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამა პროგრამა შედგენილია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. ○ აღნიშნული კურსები სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, თავისი ინტერესების შესაბამისად, დაეუფლოს დამატებით ცოდნას სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. მაგისტრატურის პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა მოამზადოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი. ○ პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით, რომელშიც სასწავლო კურსების ქრონოლოგიური წყობა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სასწავლო კურსებს შორის ლოგიკურ კავშირს და შინაარსის განვითარებას ზოგადიდან კონკრეტულისაკენ, მარტივიდან უფრო რთულ საკითხებამდე. პროგრამის შემდგომ სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურია, ისინი განსაზღვრულია კომპონენტის შესაბამისი სილაბუსით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისათვის. ○ როგორც უკვე აღინიშნა, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, როგორც ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმემკვიდრე, ძირითადად ორიენტირებულია რეგიონში მცხოვრები მოქალაქეების სწავლებაზე, მათ შორის, საზღვრისპირა სოფლების წარმომადგენლებზე. ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია, ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში შევიდეს ცვლილება და სასწავლო საგნებს დაემატოს ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობების კურსი. გორის სასწავლო უნივერსიტეტს აქვს აღნიშნული სასწავლო კურსების განხორციელების ფართო და უნიკალური რესურსი, როგორც ადამიანური, ისე ინტელექტუალური და მატერიალური თვალსაზრისით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა

- ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- მნიშვნელოვანია, ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში შევიდეს ცვლილება და სასწავლო საგნებს დაემატოს ქართულ-ოსური ენობრივი ურთიერთობების კურსი. გორის სასწავლო უნივერსიტეტს აქვს აღნიშნული სასწავლო კურსების განხორციელების ფართო და უნიკალური რესურსი, როგორც ადამიანური, ისე ინტელექტუალური და მატერიალური თვალსაზრისით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ გორის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო სასწავლო კურსები ორიენტირებულია მაგისტრანტისათვის აუცილებელი ცოდნის შეძენასა და უნარების გამომუშავებაზე. ○ საგანმანათლებლო პროგრამის 120 ECTS კრედიტიდან: 105 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებია; 15 კრედიტის მოცულობით სასწავლო კურსები სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული სპეციალობის არჩევითი კურსებიდან. მაგისტრატურის პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა მოამზადოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი. ○ ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსებია: ქართული ენის სტუქტურა და ისტორია 1 (ფონეტიკა და ფონოლოგია); ქართველურ ენათა შესწავლის ისტორია; კვლევის თანამედროვე მეთოდები და დიზაინი; უახლესი ლინგვისტური თეორიები და მეთოდები; ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციები და თანამედროვე პრობლემები; ქართყლი ენის სტრუქტურა და ისტორია 2 (მორფოლოგია); ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები; ქართული ენის ისტორია და დიალექტოლოგია; ქართველური ონომასტიკა; ქართული სალიტერატრო ენის ნორმალიზაციის საკითხები; ქართული ენის სტრუქტურა და ისტორია 3 (სინტაქსი); ქართველური ლექსიკოლოგია; ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა; ზანურის ფონემატური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურა. ○ არჩევითი საგნებია: ენა და კულტურა; ქართული მწიგნობრობის კერები; ზანური ჰიპოტაქსის ძირითადი საკითხები; აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები; ენა და მწერალი; ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკური სინონიმიის საკითხები. ○ ქართველური ენების: ქართული, მეგრული/ზანური, სვანური სრულყოფილად სწავლების, ასევე, ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრატურის დასრულების შემდეგ ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კვალიფიკაციისათვის მიზანშეწონილია სავალდებულო სასწავლო

კურსებს დაემატოს სვანური ენა. ○ საგანში: აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები, მიზანშეწონილია სავალდებულო ლიტერატურაში დაემატოს ქართული დიალექტური კორპუსი http://www.corpora.co/#/ დიდი ქართული დიალქტური ნაზა და ქართული დიალექტების ელექტრონული ატლასი, სადაც განთავსებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების ტექსტები შესაბამისი აკადემიური ფორმებით. ○ საგანში: ენა და მწერალი, სასურველია, თემატიკას დაემატოს პოეტური ლექსიკის საკითხები, როგორებიცაა: სინონიმები, ანტონიმები, არქაიზმები, ისტორიზმები, ევფემიზმები, დისფემიზმები, პოეტური ტავტოლოგია, ნასესხები სიტყვები, ნეოლოგიზმები, ბარბარიზმები, ომონიმები, პარონიმები, ტავტოლოგია, პლეონაზმი, ინტერნაციონალიზმები, პოლისემია და მათი ასახვა მწერლის ენაში. ○
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამა ○ ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები ○ ქართველური ენების: ქართული, მეგრული/ზანური, სვანური სრულყოფილად სწავლების, ასევე, ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრატურის დასრულების შემდეგ ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კვალიფიკაციისათვის მიზანშეწონილია სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატოს სვანური ენა.

- საგანში: აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები, მიზანშეწონილია სავალდებულო ლიტერატურაში დაემატოს ქართული დიალექტური კორპუსი http://www.corpora.co/#/ დიდი ქართული დიალქტური ბაზა და ქართული დიალექტების ელექტრონული ატლასი, სადაც განთავსებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტების ტექსტები შესაბამისი აკადემიური ფორმებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- საგანში: ენა და მწერალი, სასურველია, თემატიკას დაემატოს პოეტური ლექსიკის საკითხები, როგორებიცაა: სინონიმები, ანტონიმები, არქაიზმები, ისტორიზმები, ევფემიზმები, დისფემიზმები, პოეტური ტავტოლოგია, ნასესხები სიტყვები, ნეოლოგიზმები, ბარბარიზმები, ომონიმები, პარონიმები, ტავტოლოგია, პლეონაზმი, ინტერნაციონალიზმები, პოლისემია და მათი ასახვა მწერლის ენაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და

ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ გორის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა, მისი კომპონენტები უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, აგრეთვე პროგრამის კურიკულუმის რუკაში. ○ საგანმანათლებლო პროგრამის ყველა დარგობრივი საკვანძო კურსით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ ამ კურსის ფარგლებში საკურსო ნაშრომის/პროექტის შესრულება და დაცვა, რომელიც გულისხმობს პრობლემური საკითხის გადაწყვეტას ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. ○ სამაგისტრო ნაშრომი-30 ECTS კრედიტის მოცულობით უზრუნველყოფს სტუდენტისათვის სამეცნიერო/კვლევითი უნარების გამომუშავებას. სამუშაო ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ სამაგისტრო ნაშრომებს. დადებითად უნდა შეფასდეს ის ტენდენცია, რომ სამაგისტრო ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე ეროვნული სამეცნეირო ბიბლიოთეკის მიერ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე. ექსპერტები გაეცნენ აღნიშნულ სქემას. ○ ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამაზე ხდება ტრანსფერული უნარების გამომუშავება. გორის უნივერსიტეტის აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში, მათ მონაწილეობას კათედრებთან/სამეცნიერო ცენტრებთან არსებულ სტუდენტურ სამეცნიერო წრეებში და სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში; ამ მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტში ყოველ სემესტრში ტარდება საუნივერსიტეტო სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია. სტუდენტები მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ჩატარებულ სტუდენტთა საუნივერსიტეტთაშორისო კონფერენციებში. ○ ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრანტთა სამაგისტრო ნაშრომებში ძირითადად ასახულია ქართლის რეგიონის ონომასტიკური, დიალექტოლოგიური და ენათმეცნიერული თავისებურებები, რაც, ექსპერტთა აზრით, დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს. ○ გორის სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის დიალექტოლოგიური ექსპედიცია შიდა ქართლის სოფლებში. აღნიშნული ღონისძიების საფუძველზე მაგისტრანტების ნაწილმა დაამუშავა სამაგისტრო ნაშრომები. ექსპედიციის შედეგები აისახა სპეციალურად გამოცემულ კრებულში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამა

- ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები

- თვითშეფასების ანგარიში

- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან

- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- გორის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის თითოეულ საგანში გამოიყენება სწავლა-სწავლების განსხვავებული მეთოდები და აქტივობები, რაც, მთლიანობაში, განაპირობებს ამ კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შდეგების მიღწევას.
- პროგრამაში სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია: სალექციო, ჯგუფში მუშობის, პრაქტიკული მუშობის, დემონსტრირების, წიგნზე მუშაობის, დისკუსიისა და სხვა მეთოდები და აქტივობები. **აღნიშნული მეთოდები შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურის სწავლის შედეგებს, მაგისტრატური კვალიფიკაციისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევების გამომუშავებას.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა
- ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ გორის სასწავლო უნივერსიტეტის ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. აღნიშნული წესი ასახულია გორის გორის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. ○ სტუდენტთა შეფასების პროცედურები არის სამართლიანი, გამჭირვალე და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. ○ ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პრორგამაში სხვადასხვა საგანში, საგნის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს სხვადასხვა სახის შეფასება. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის სტუდენტთა შეფასება შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ○ სტუდენტებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების ფორმები, კომპონენტები და

მეთოდები. მოქმედებს სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმიც. ○ სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება პლაგიატის პროგრამაც (იხ. 2. 4), რაც დადებითად უნდა შეფასდეს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისა და შეფასების თვალსაზრისით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით ○ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა ○ ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელებთან ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
